სახელმწიფოს საშინაო ვალის ბაზრის განვითარების პერსპექტივები

ნიკოლოზ ოხანაშვილი

შალვა ლოლაძე

ნატო ბერულავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები და საბანკო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კაჭარავა (ასისტენტ-პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

აბსტრაქტი

სახელმწიფო ვალი და მასთან დაკავშირებული საკითხები განეკუთვნება გლობალურად აქტუალურ საკითხებს, რომლებიც თანამედროვე კრიზისების ჭრილში საკვანძო მნიშვნელობებს იძენენ. გაგვიჭირდება ისეთი ქვეყნის მოძებნა მსოფლიოში, რომელსაც სახელმწიფო ვალი არ აქვს, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნისთვის ვალდებულებები საკმაოდ დიდ მნიშვნელობებს აღწევს. მოვლენა დამახასითებელია ძირითადად განვიტარებადი ქვეყნებისათვის, თუმცა ზოგიერთი განვითარებული ქვეყანაც აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას. აქედან გამომდინარე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია არა ვალდებულების სიმცირე არამედ იმ რაოდენობის დარეგულირება, კეროძოდ რაც უფრო განვითარებული და მზარდია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო გადახდისუნარიანია ქვეყანა და მით უფრო ნაკლებად „მტკივნეულია“ ვალდებულებების საპროცენტო ტვირთი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში შიდა ვალის ბაზარი იყოს მრავალფეროვანი და მაღალგანვითარებული ინსტიტუტების მქონე. საქართველოში ამ კუთხით საკმაოდ ბევრ პრობლემური ასპექტები იჩენს ხოლმე თავს, რომელთა გადაჭრას უკვე მესამე ათწლეულია ცდილობს ხელისუფლების წარმომადგენლები. აღნიშნული პროცესების მიმოხილვა და საშინაო ვალის ბაზრის განვითარების პერსპექტივების ანალიზი წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ვალისა და მისი მართვის ეფექტიანობის საკითხების შესწავლას, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პარამეტრებსა და უცხოური გამოცდილების შედარებით ანალიზს და სამოქალაქო საზოგადოების კვლევას სახელმწიფო საშინაო ვალის ბაზრის განვიტარბის პერსპექტივების შესაფასებლად.